თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 25 მაისი

სხდომის ოქმი **#8**

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–25, სტუდენტი–0, სულ–25 წევრი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება

   /დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ.

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება.

   /დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

4. თსუ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   /დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება-№109, 10.05.2018), ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება-№110, 10.05.2018), აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

   /დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2019 სასწავლო წლიდან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისთვის კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების განხილვის შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები და წესის დამტკიცების შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში (დანართი 1) ცვლილების შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო საკითხებში ა. მიქაბერიძე/

10. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური / მოწვეული / სამეცნიერო პერსონალის გამოკითხვის შედეგების განხილვა.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

11. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ ჩატარების შესახებ.

/დეკანის მოდგილე სამეცნიერო მიმართულებით ნ. ფარესაშვილი/

12. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის #8 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1973 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების- ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართა ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1973 წლის კურსდამთავრებულ **მერაბ ჭირაქაძემ** გაურკვეველ ვითარებაში დიპლომის დაკარგვის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერაბ ჭირაქაძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. გამომდინარე აღნიშულიდან, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული

წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძე 1964 წელს მისაღები გამოცდების შედეგად ჩაირიცხა ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის სპეციალობაზე (ბრძანება №431, 24.08.1964). 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტ მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძეს ავადმყოფობის გამო მიეცა აკადემიური შვებულება 1966 წლის 1 სექტემბრამდე (ბრძანება №57, §1, 3.02.1966), ხოლო ამავე წლის სექტემბერში ჩაითვალა აკადემიური შვებულებიან დაბრუნებულად (ბრძანება №453, §6, 06.09.1966).

სტუდენტის სასწავლო ბარათზე არსებული ჩანაწერიდან ჩანს, რომ მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძე ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის 1965 წლის 28 სექტემბრის №70 განკარგულებით გადაყვანილი იქნა II კურსზე. 1967 წლის 12 დეკემბრის №51 განკარგულებით აკადემიური ჩამორჩენილობის გამო დატოვებული იქნა კურსზე განმეორებითი სწავლებისთვის. 1968 წლის 15 ნოემბრის №58 განკარგულებით გადაყვანილი იქნა III კურსზე. 1969 წლის 10 თებერვლის №98 განკარგულებით აკადემიური ჩამორჩენილობის გამო კვლავ დატოვებული იქნა კურსზე განმეორებითი სწავლებისთვის.

შენიშვნა: საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის 1967 წლისა და 1969 წლის განკარგულებები თსუ არქივში არ არის გადაცემული. ასევე, ინფორმაცია მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძის კურსზე დატოვების შესახებ არ ფიქსირდება 1967 წლისა და 1969 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში.

1970 წლის 1 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყველა განსხვავებული საგანი, გადაყვანილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №347, §2, 09.06.1970).

1973 წელს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთვრებულ მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძეს მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობით (ბრძანება №601, 27.07.1973).

1973 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №185697 (სარეგისტრაციო №01/1668) რეგისტრირებულია მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძის სახელზე.

საარქივო ცნობიდან ჩანს, რომ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების კომისიის 1973 წლის სხდომის ოქმები გადაცემულია სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში. თუმცა, შესაბამისი დოკუმენტის მოთხოვნის საფუძველზე ცნობილი გახდა რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1973 წლის მასალებში არ არის დაცული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მასალები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა, რომ 1973 წელს ტარდებოდა სახელმწიფო გამოცდა და/ან სადიპლომი ნაშრომის დაცვა. მიღებული შეფასებების შედეგად დგებოდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება კურსდამთვრებულთა ხარისხის მინიჭების შესახებ. წარდგინების საფუძველზე გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი წერილებით დადგინდა, რომ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1973 წელს წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ არ იძებნება.

კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1973 წლის 27 ივლისის №601 ბრძანებით მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძესთან ერთად ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავებს ორგანიზაციის სპეციალობით მიენიჭა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 33 კურსდამთვრებულს, რომელთა სახელზე გაცემულია შესაბამისი დიპლომები. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იძებნება ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1973 წელს წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები, და შესაბამისად არ არის ცნობილი კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტყილების რეკვიზიტები (სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი), მიზანშეწონილია აღგენილად ჩაითვალოს კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობის დღისა და საღამოს სწავლების 1973 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- თსუ რექტორის 1973 წლის 27 ივლისის №601 ბრძანებით საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობის დღისა სწავლების 1973 წლის კურსდამთავრებულ მერაბ გრიგოლის ძე ჭირაქაძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 1973 წლის 27 ივლისი და ოქმის ნომრად №601/3.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობის დღისა და საღამოს სწავლების 1973 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №601, 27.07.1973 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთვრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში (იხ. თსუ რექტორის ბრძანება №601, 27.07.1973)

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

ქ-მა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ელექტრონულად დაეგზავნათ დებულების ბოლო ვერსია. მიღებული და გათვალისწინებული იქნა ბევრი შენიშვნა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომელიც შედის ახალ დებულებაში.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კენჭისყრაზე დადგა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების საკითხი.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად და აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისის საქმიანობის პრინციპებსა და წესს, აგრეთვე განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ სტანდარტს.

მუხლი 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის მიზანი

დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური და მიზნად ისახავს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოებას, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელის შეწყობას.

თავი II. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1.დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია თსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საბუთები წარუდგენოს ფაკულტეტის საბუთების მიმღებ კომისიას, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.

3. ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.

4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

5. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან საუნივერსიტეტო გამოცდით.

6. ქართული და უცხოური ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.

7. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

მუხლი 5. საკონკურსო გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები

1. კონკურსანტი, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაიშვება გასაუბრებაზე.

2. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებაზე გადის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ დარგობრივ კომისიასთან, რომლის შემადგენლობა მტკიცდება დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე ან აბარებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით. გასაუბრებაზე ან სპეციალობაში გამოცდაზე დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

1. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ხელმძღვანელი შუამდგომლობას წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს. სწავლის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 4 სემესტრისა.

2. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით.

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

ა. პლაგიატობის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
ბ.უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

თავი III. დოქტორანტის ხელმძღვანელობა

მუხლი 9. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს. დოქტორანტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე არაუმეტეს ხუთ დოქტორანტს. დასაშვებია ხუთზე მეტი დოქტორანტის თანახელმძღვანელობა.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, იგი ვალდებულია დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს.

6. სადისერტაციო თემას კათედრის ხელმძღვანელის შუამდგომლობით და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის ცვლილება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

თავი IV. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 10. სადოქტორო პროგრამა და მისი მოცულობა

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დააგროვოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არანაკლებ ექვსი სემესტრის განმავლობაში.

3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, დანარჩენი (130 კრედიტი) ეთმობა კვლევას.

4. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.

5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის პროცესი, არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.

6. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

7. დოქტორანტი, რომელიც შეასრულებს კვლევითი კომპონენტს, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს სემინარს/სემინარებს, სასწავლო კურსებს/მოდულებს, პროფესორის ასისტენტობას და სხვა სახის აქტივობებს.

3. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს.

4. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტების სასწავლო აქტივობები, განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	10 კრედიტი
აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში)	სავალდებულო	5 კრედიტი
არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	არჩევითი	10 კრედიტი

მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.

2. დოქტორანტურის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია).

3. დისერტაციის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

მუხლი 13. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი №1) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და გავითარების სამსახურს.

მუხლი 14. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი №2) წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

2. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

თავი V. დისერტაციის მომზადება და დაცვა

მუხლი 15. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია.

3. დისერტაციის უცხოურ ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

4. დისერტაციის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. დოქტორანტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დისერტაციის ოთხ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).

2. დისერტაციასთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა. განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;

ბ. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

გ. ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ;

დ. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად. კათედრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით მისი შუამდგომლობა ან ამონაწერი შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმიდან.

3. დისერტაციის დაცვამდე, დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რეცენზირებად ჟურნალებში.

4. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან.

5. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

6. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჰყავს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ოპონენტი);

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის

დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);

დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ქმნის უცხოელ ექსპერტთა საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას.

7. საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გადაცემული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

8. რეცენზირებისათვის საჭირო თანხა გამოიყოფა დოქტორანტის სწავლის გადასახადიდან. უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან სამი თვის ვადით. ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მეცნიერ–თანამშრომელი.

9. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება

მოახდინოს აგრეთვე:

- თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა;

- თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

10. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისაგან სადისერტაციო ნაშრომის ფაკულტეტის საბჭოში წარდგენის დღიდან.

11. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი

პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით გამოყოფს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს (შემფასებლებს) და ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. დისერტაციის რეცენზენტი (შემფასებელი) შეიძლება იყოს თსუ-ის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ცალკეულ შემთხვევებში რეცენზენტად შეიძლება გამოიყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი.

3. რეცენზენტი (შემფასებელი) დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის შესახებ წარმოადგენს დისერტაციის გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში.

4. რეცენზენტის (შემფასებელის) დასკვნაში უნდა აისახოს:

ა. სადისერტაციო თემის აქტუალურობა;

ბ. კვლევის მეცნიერული
დონე;

გ. გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);

დ. მიღებული შედეგების
სანდოობა;

ე. დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.

6. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი (შემფასებელი) თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;

ბ. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ.

7. თუ ორიდან ერთი რეცენზენტი (შემფასებელი) მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დადგენილი რეგულაციით გამოიყოფა მესამე რეცენზენტი (შემფასებელი).

8. თუ რეცენზენტების (შემფასებლების) ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

9.დისერტაციის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება, არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.

10. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემა იმავე რეცენზენტებს (შემფასებლებს), ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, დისერტაციის რეცენზირებისათვის გამოიყოფა ახალი რეცენზენტები.

11. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

12. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არქივს.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, ასევე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერ- თანამშრომლებისაგან, ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.
2. სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციებს მართავს ფაკულტეტის საბჭოსთან.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია იქმნება, სულ მცირე, 7 წევრის შემადგენლობით, არაუმეტეს 11 წევრისა, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება. როგორც წესი, შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით.
6. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და შემფასებლები კომისიაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

ბ)შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს შემდგომი მსვლელობისათვის.

,გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას.

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.

მუხლი 20. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:
ა) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს ოქმებს;

ბ) ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

გ) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმის წარმოებას;

დ) კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

მუხლი 21. დისერტაციის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.

2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4 და მეტი.

4. თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი (შემფასებელი), ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა იქნას წაკითხული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მსვლელობისას.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას, კომისიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ.

6. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისის მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.

7. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და სადისერტაციო ნაშრომის თემას, რეცენზენტების ვინაობას. აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას.

9. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.

10. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები და სხვა.

11. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი. დოქტორანტი უპასუხებს დამწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს). იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია, როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოებას.

12. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

13.დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ დისერტაციის შესაფასებლად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე, ფარული კენჭისყრით.

14. დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

15. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი დაცვისა.

16. დისერტაციის დაცვის პროცესზე ვიდეოგადაღება სავალდებულოა.

მუხლი 22. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, დახურულ სხდომაზე შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს

– მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

2. ამ მუხლის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამ მუხლის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარდგენის უფლება. ამ მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე, რომლებიც აფასებენ დოქტორანტს), რომელიც შეესაბამება მოცემულ ლათინურ შეფასებას.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება და დაცვის დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცემა შეფასებიდან 7 დღის ვადაში.

5. ამ მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტები სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო საბჭოს მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

მუხლი 23. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად.

2. სადისერტაციო საბჭო მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამტკიცებს სადისეტრაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) და ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს.

3. სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო

ნაშრომის დაცვის კომისია ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია (როგორც წესი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის სახით).

4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში – სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია.

5. სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ვალდებულია თავის წერილობით დასაბუთება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის თაობაზე, წარმოადგენს მომდევნო სხდომაზე.

6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის 1 ეგზემპლარი ინახება სადისერტაციო საბჭოში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

მუხლი 24. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 25. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 26. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია

წინამდებარე დებულებით ფაკულტეტის საბჭოსთვის გათვალისწინებული უფლებამოსილებები ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მიერ, გარდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების (დანართი №1) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო

სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებისა.

მუხლი 27. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. სადისერტაციო საბჭოს დებულებას, უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. სადისერტაციო საბჭოს დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. ამ დებულების ამოქმედებამდე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული დოქტორანტების მიერ მოპოვებული კრედიტები გადახედვას არ ექვემდებარება.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ დოქტორანტებზე ვრცელდება წინამდებარე დებულების მოთხოვნები, მანამდე მოქმედი დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით.

იმ დოქტორანტებისთვის, რომლებმაც დოქტორანტის სტატუსი მოიპოვეს 2018-2019 სასწავლო წლამდე დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	15 კრედიტი
აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	არჩევითი	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
კვლევის მეთოდები	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო	არჩევითი	10 კრედიტი

კურსები		
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	არჩევითი	10 კრედიტი

3. თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დებულების დამტკიცებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების

ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" თსუ აკადემიური საბჭოს მიერ 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილება.

4. დოქტორანტურის დებულება ამოქმედდეს თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სასწავლო კომპონენტი	ECTS კრედიტი	შეფასება

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: ____

თარიღი: _____

დანართი 2

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა: ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _

თარიღი: _____

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილები უკავშირდება დოქტორანტურის დებულების ცვლილებებს და სადისერტაციო საბჭოს შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო აღარ იარსებებს იმ ფორმით, როგორც იყო.

მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ელექტრონულად დაეგზავნათ ცვლილებების პაკეტი და კიდევ ერთხელ გააცნო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილები.

შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში:

1. **დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. ფაკულტეტზე დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.“

2. დებულების მე-6 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან ერთად შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.“

3. დებულების VI თავი ამოღებულ იქნეს.

4. დებულების მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.

5. დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დოქტორანტთა სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება და სემინარების ორგანიზება;“

6. დებულების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული “დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით, ასევე ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, სადოქტორო პროგრამებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.“

7. დებულების 28-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“10. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.”

8. დებულების 28-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული დარგობრივი

კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით."

9. დებულების 28-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"14. გასაუბრება შეფასდება სამი კრიტერიუმით: განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა), მოტივაცია, კვლევითი პროექტის პრეზენტაცია. თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე, ხოლო საბოლოო შეფასება მოხდება სამივე კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს."

10. დებულების 28-ე მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. კონკურსის შედეგების საფუძველზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და დოქტორანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე თსუ-ს მიერ გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები.

მოისმინეს: თსუ-ს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№9733/10, 15.05.2018), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა

და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2002 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ **გიორგი კვირიკაშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი გელას ძე კვირიკაშვილი 1988 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, დასწრებული სწავლების ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 05.08.1998).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში" სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 2002 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე (შემაჯამებელი ოქმი №1, 13.06.2002) დღის განყოფილების კურსდამთავრებულ **გიორგი კვირიკაშვილს** მიენიჭა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით"**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივლისის №4/816 ბრძანებით - **„ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობის სპეციალობით"** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №07952 (სარეგისტრაციო №01/50) რეგისტრირებულია გიორგი კვირიკაშვილის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო მასალას, თან ახლდა გიორგი კვირიკაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართის ასლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„გიორგი კვირიკაშვილი დაბადებული 1977 წელს, 1998 წელს ჩაირიცხა და 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში" და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".**

გიორგი კვირიკაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და თსუ რექტორის ბრძანებით (ბრძანება №4/816, 10.07.2002) მინიჭებული ხარისხი, არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში" სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№1, 13.06.2002) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის

„ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (შემაჯამებელი ოქმი №1, 13.06.2002) და კურსდამთავრებულ გიორგი კვირიკაშვილს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ბიზნესის ადმინისტრატორის კავლიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრატორის კავლიფიკაციით“**. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში“ სპეციალობის დღის განყოფილების 2002 წლის კურსდამთავრებულ **გიორგი კვირიკაშვილს** ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრატორის კავლიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრატორის კავლიფიკაციით“**.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 13 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მრეწველობაში“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელ სხდომის ოქმი №1, 13.06.2002)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ-ს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№7259/10, 13.04.2018) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ **რუსუდან სრესელისათვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ რუსუდან ალეკოს ასული სრესელი 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი აუდიტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/916, 27.07.2004).

ეკონომიკის ფაკულტეტის „აღრიცხვა, კონტროლო აუდიტი" სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდოს კომისიის სხდომის 2004 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №3, 16.06.2004) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 27 ივლისის №4/916 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების სპეციალობის კურსდამთავრებულ **რუსუდან სრესელს** მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2004 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH №03757 (სარეგისტრაციო №01/443) რეგისტრირებულია რუსუდან სრესელის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო მასალას, თან ახლდა რუსუდან სრესელის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართის ასლი (შავი პირი), რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: **„რუსუდან სრესელი 2000 წელს ჩაირიცხა და 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალვრის აკადემიური ხარისხი".**

რუსუდან სრესელის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№3, 16.06.2004) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/916, 27.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

სხდომის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი ოქმი (№3) და რუსუდან სრესელისთვის მინიჭებული ხარისხის ნაცვლად *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“* მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“*. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის დასწრებული, საბიუჯეტო განყოფილების 2004 წლის კურსდამთავრებულ **რუსუდან სრესელს** ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელ სხდომის ოქმი №3, 16.06.2004)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანულ ნაწილს და შესაბამისად, მისი სტრატეგიული გეგმაც გამომდინარეობს იმ მიზნებიდან და ამოცანებიდან, რომელიც აქვს უნივერსიტეტს. მან მოკლედ მიმოიხილა სტრატეგიული გეგმის მიზანი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდის ამოცანები, SWOT ანალიზი, სადაც გამოიკვეთა ძლიერი

და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები, ისაუბრა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიაში განსაზღვრული ოთხი სტრატეგიული მიმართულების შესახებ:

I. სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა;
II. საგანმანათლებლო საქმიანობა;
III. სტუდენტური ცხოვრება;
IV. ინსტიტუციური განვითარება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება-№109, 10.05.2018), ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება-№110, 10.05.2018), აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნა მნიშვნელოვანი საკითხია. არსებული წესის მიხედვით ფაკულტეტის საბჭომ უფლებამოსილება უნდა მისცეს დეკანს, რათა მიმართოს რექტორს, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, აღნიშნული საკითხის აკადემიური საბჭოს სხდომაზე გასატანად.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში (№118/2014) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, დაშვებულ იქნას გამონაკლისი და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა

და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება-№109, 10.05.2018) და ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება-№110, 10.05.2018) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოიხსნას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში №118/2014, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, მოიხსნას ასაკობრივი ბარიერი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება-№109, 10.05.2018) და ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება-№110, 10.05.2018) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის.
2. ეთხოვოს თსუ-ის რექტორს აღნიშნული საკითხი განიხილოს თსუ აკადემიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2019 სასწავლო წლიდან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისთვის კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების განხილვის შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის აკადმიურ პერსონალს განხილვისთვის ელექტრონულად დაეგზავნა 2019 სასწავლო წლიდან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისთვის კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები. მან აღნიშნა, რომ პროფესორთა ჯგუფმა იმუშავა და წარმოადგინა სამუშაო ვერსია, რაც დაეგზავნა ფაკულტეტის

აკადემიურ პერსონალს. შენიშვნები არცთუ ისე ბევრი იყო. მან ისაუბრა სხვადასხვა მიდგომებზე კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ, ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე - მან აღნიშნა, რომ აქვს სხვადასხვა შენიშვნები და ისაუბრა ამ საკითხებზე.

ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარტები გააკეთა ფაკულტეტის დეკანმა.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტის ამოქმედების ვადა უნდა გადაიწიოს 2021 წლამდე.

დეკანმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია.

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ ვინაიდან მიმდინარე კონკურსზე აღნიშნული წესი არ ვრცელდება, ამიტომ არის დრო, რათა მოხდეს ამ დოკუმენტზე მუშაობის გაგრძელება და ა.წ. ოქტომბრის თვეში შესაძლებელი იქნება საბოლოო დოკუმენტის წარმოდგენა.

დისკუსია შეაჯამა დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ გ. ღაღანიძემ. მან აღნიშნა, რომ დაფიქსირდა რამდენიმე პრონციპული მომენტი: 1. ახალი კრიტერიუმების ძალაში შესვლის თარიღი - 2019 წლის 1 იანვარი; 2. ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ქულობრივ შეფასებას. 3. ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს კონკურსანტის მიერ ლექციის წაკითხვას (ქულების მინიჭებით ან დიახ/არა). 4. გამჭირვალეობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ კომისიის შემადგენლობის 1/3-მდე იქნებიან უნივერსიტეტის გარედან მოწვეული პროფესორები. 5. საკონკურსო კრიტერიუმების ჩაშლილი ვარიანტი წარმოდგენილი იქნას არაუგვიანეს 2018 წლის ოქტომბრის თვისა.

ამ ხუთი პრინციპის დაფიქსირების შემდეგ დოკუმენტზე მუშაობა გაგრძელდება და ოქტომბრის დასაწყისში წარმოდგენილი იქნება ბოლო ვარიანტი. მან საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ყველა შენიშვნა უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტით, წერილობით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 13**

წინააღმდეგი – 4

არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა - 8

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2019 სასწავლო წლიდან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისთვის კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების შემდეგი პრინციპები:

1. კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმების თვლადობა;
2. კონკურსანტის მიერ ლექციის სავალდებულო ჩატარება;
3. საკონკურსო კომისიაში თსუ-ს გარედან მოწვეულთა რაოდენობის უზრუნველყოფა, არაუმეტეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის 1/3-სა;
4. საკონკურსო კრიტერიუმები ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან;
5. საკონკურსო კრიტერიუმების ჩაშლილი ვარიანტი წარმოდგენილი იქნება არაუგვიანეს 2018 წლის ოქტომბრის თვისა.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები და წესის დამტკიცების შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრად წარადგინა ორი კანდიდატურა: აკადემიკოსი ა. სილაგაძე (ეკონომიკის მიმართულებით) და პროფ. თ. შენგელია (ბიზნესის მიმართულებით).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი:

აკად. ა. სილაგაძემ მადლობა გადაიხადა მისი კანდიდატურის დასახელებისთვის და აღნიშნა, რომ ის აცილებას აძლევს საკუთარ კანდიდატურას. მან ასევე აღნიშნა, რომ დოქტორანტურაში სწავლის პროცესი შეჩერებულია წელიწადნახევრის მანძილზე, რაც უნივერსიტეტის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ამის გამო დაზარალებულები არიან დოქტორანტები. ამ პერიოდის მანძილზე ისინი იხდიდნენ სწავლის საფასურს. მან მოითხოვა, რომ დაფიქსირდეს მისი მოსაზრება: უნივერსიტეტმა ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში გადარიცხული თანხიდან ყველა დოქტორანტს, რომელსაც სასწავლო პროცესში ხელი შეეშალა იმის გამო, რომ საბჭო ხელოვნურად არ ფუნქციონირებდა, მიმართვის შემთხვევაში დაუბრუნოს სწავლის საფასური.

პროფ. ნ. ხადური - მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია თანხის დაბრუნება ვერ მოხდეს, მაგრამ ეს პერიოდი გადავადდეს და შემდეგ სემესტრებში აღარ გადაიხადონ სწავლის საფასური.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან მოუწოდა აკად. ა. სილაგაძეს არ მისცეს აცილება საკუთარ კანდიდატურას.

პროფ. თ შენგელია - მან აღნიშნა, რომ დიდი უსამართლობაა ჩადენილი მომავალი თაობის წინაშე და დაეთანხმა აკად. ა. სილაგაძის მოსაზრებას. მან აკად. ა. სილაგაძეს და მოუწოდა არ მისცეს აცილება საკუთარ კანდიდატურას.

დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ დაასახელმა სხვა კანდიდატურა - პროფ. ს. გელაშვილი.

პროფ. ს. გელაშვილმა ასევე აცილება მისცა საკუთარ კანდიდატურას და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელა პროფ. ი. ანანიაშვილი.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წარდგენილ იქნას პროფ. ი. ანანიაშვილი და პროფ. თ შენგელია.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით წარდგენილ არიან პროფ. ი. ანანიაშვილი და პროფ. თ შენგელია.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში (დანართი 1) ცვლილების შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შეეხება ამ წესის დანართს #1. ფორმაში ჩაწერილი იყო ყოფილი დეკანის, პროფ. თ. ბერიძის სახელი და გვარი, რაც უნდა შეიცვალოს და ჩაიწეროს პროფ. გ. ღაღანიძე. ფორმის ბოლოს ასევე მითითებულია ძველი თარიღი და ის უნდა შეიცვალოს.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თ შენგელიამ. მან აღნიშნა, რომ მას აქვს პრინციპული შენიშვნა დაფინანსების წესთან დაკავშირებით. თუ დოქტორანტის ხელფასი ბევრად აღემატება გადასახდელ თანხას, მაშინ ასეთი დოქტორანტს არ უნდა მივცეთ შეღავათი.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა ეს საკითხი დარეგულირდეს შესაბამისი რეგულაციით. ამ ეტაპზე კი საჭიროა დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილება და შემდგომში გაგრძელდეს მუშაობა დოქტორანტების დაფინანასების წესთან დაკავშირებით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში (დანართი #1).

პროფ. ნ. ხადური - მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია თანხის დაბრუნება ვერ მოხდეს, მაგრამ ეს პერიოდი გადავადდეს და შემდეგ სემესტრებში აღარ გადაიხადონ სწავლის საფასური.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან მოუწოდა აკად. ა. სილაგაძეს არ მისცეს აცილება საკუთარ კანდიდატურას.

პროფ. თ შენგელია - მან აღნიშნა, რომ დიდი უსამართლობაა ჩადენილი მომავალი თაობის წინაშე და დაეთანხმა აკად. ა. სილაგაძის მოსაზრებას. მან აკად. ა. სილაგაძეს და მოუწოდა არ მისცეს აცილება საკუთარ კანდიდატურას.

დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ დაასახელმა სხვა კანდიდატურა - პროფ. ს. გელაშვილი.

პროფ. ს. გელაშვილმა ასევე აცილება მისცა საკუთარ კანდიდატურას და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელა პროფ. ი. ანანიაშვილი.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წარდგენილ იქნას პროფ. ი. ანანიაშვილი და პროფ. თ შენგელია.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით წარდგენილ არიან პროფ. ი. ანანიაშვილი და პროფ. თ შენგელია.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში (დანართი 1) ცვლილების შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შეეხება ამ წესის დანართს #1. ფორმაში ჩაწერილი იყო ყოფილი დეკანის, პროფ. თ. ბერიძის სახელი და გვარი, რაც უნდა შეიცვალოს და ჩაიწეროს პროფ. გ. ღაღანიძე. ფორმის ბოლოს ასევე მითითებულია ძველი თარიღი და ის უნდა შეიცვალოს.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თ შენგელიამ. მან აღნიშნა, რომ მას აქვს პრინციპული შენიშვნა დაფინანსების წესთან დაკავშირებით. თუ დოქტორანტის ხელფასი ბევრად აღემატება გადასახდელ თანხას, მაშინ ასეთი დოქტორანტს არ უნდა მივცეთ შეღავათი.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა ეს საკითხი დარეგულირდეს შესაბამისი რეგულაციით. ამ ეტაპზე კი საჭიროა დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილება და შემდგომში გაგრძელდეს მუშაობა დოქტორანტების დაფინანასების წესთან დაკავშირებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს აღნიშნული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში (დანართი #1).

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ გიორგი ღაღანიძეს

თსუ ეკონომოკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

სადოქტორო

_____

(საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება)

პროგრამის ——— სემესტრის დოქტორანტის

_____

სახელი, გვარი

განცხადება

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, საკონკურსო დოკუმენტაციას სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დოქტორანტთა სემესტრული საუნივერსიტეტი დაფინანსების მოსაპოვებლად.

განცხადებას თან ერთვის:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი– – გვ.
2. კონკურსანტის ავტობიოგრაფია (CV)– – გვ.
3. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციით გათვალისწინებული დოკუმენტაცია – – გვ.

_____

(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: ———————

თარიღი: - - / - - /- -

მოისმინეს: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის გამოკითხვის შედეგების განხილვა.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ელექტრონულად დაეგზავნათ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური სერვისების გამოკითხვის შედეგები. მან საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული გამოკითხვის შედეგები და აღნიშნა, რომ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც მოითხოვს ერთობლივ მუშაობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" ჩატარების შესახებ.

/დეკანის მოდგილე სამეცნიერო მიმართულებით ნ. ფარესაშვილი/

ქალბატონმა ნ. ფარესაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 2018 წლის 26-27 ოქტომბერს ატარებს III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".

კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. კონფერენციის მიზანია ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

კონფერენციის სამუშაო მიმართულებებია

ეკონომიკა:

- ეკონომეტრიკა;
- ეკონომიკური პოლიტიკა,
- თეორიული ეკონომიკა;
- მაკროეკონომიკა;
- მიკროეკონომიკა;
- საერთაშორისო ეკონომიკა;
- სტატისტიკა.

ბიზნესის ადმინისტრირება:

- აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- საერთაშორისო ბიზნესი;
- ტურიზმი;
- ფინანსები და საბანკო საქმე.

ქალბატონმა ნ. ფარესაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო კონფერენციის ჩატარების ადგილი და მისამართი, მოხსენების წარმოდგენის ვადები, სარედაქციო კოლეგია და საორგანიზაციო კომიტეტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: გ. ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე